

შპს “გარდაბნის თბოსადგური”

**ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგებები	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს “გარდაბნის თბოსადგურის” მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “გარდაბნის თბოსადგურის” ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს “გარდაბნის თბოსადგურის” ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ

მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ან

თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა - განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ანა ოსიყმიშვილი.

28 სექტემბერი, 2018 წ.
თბილისი, საქართველო

Address: 61, Aghmashenebeli 0102, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2 24 30 30
Fax: +995 32 2 293 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkf.com

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ან

თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა - განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ანა ოსიყმიშვილი.

28 სექტემბერი, 2018 წ.
თბილისი, საქართველო



Address: 61, Aghmashenebeli 0102, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2 24 30 30
Fax: +995 32 2 293 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkf.com

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

ფინანსური ანგარიშგებები

შპს „გარდაზნის თბოსადგური“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	17	34,989	14,785
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	16	13,266	25,426
ავანსები		200	69
მარაგები		5,737	4,480
საგადასახადო აქტივები		1,683	-
სულ მიმდინარე აქტივები		55,875	44,760
ძირითადი საშუალებები	14	366,441	382,699
შენობები		3,606	3,157
არამატერიალური აქტივები		14	21
მიწა		2,008	2,574
მოწყობილობა-დანადგარები		1,676	1,861
გრძელვადიანი სათადარიგო ნაწილები		29,525	29,682
გრძელვადიანი ხელსაწყოები		963	985
სხვა		1,849	2,111
სულ გრძელვადიანი აქტივები		406,082	423,089
სულ აქტივები		461,957	467,849
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	21	(11,966)	(13,828)
საგადასახადო ვალდებულება		-	(300)
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	20	(52,786)	(19,873)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		(64,752)	(34,001)
გრძელვადიანი სესხები	20	(269,736)	(363,419)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(269,736)	(363,419)
სულ ვალდებულებები		(334,488)	(397,421)
საწესდებო კაპიტალი		(175,184)	(175,653)
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		47,714	105,224
სულ კაპიტალი		(127,470)	(70,429)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		(461,957)	(467,849)

შპს „გარდაზნის თბოსადგური“
სრული შემოსავლების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	9	199,757	184,460
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(88,073)	(82,268)
საოპერაციო შემოსავალი		111,684	102,192
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(23,957)	(22,783)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(11,523)	(15,423)
სულ საოპერაციო შემოსავალი		76,205	63,986
ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი	13	(18,979)	(71,837)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		456	230
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(172)	(300)
მოგება დაბეგვრამდე		57,510	(7,922)
მოგების გადასახადი	15	-	-
პერიოდის შედეგი		57,510	(7,922)

შპს „გარდაზნის თბოსადგური“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
'000 ლარი			
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	175,653	(105,224)	70,429
სულ სრული შემოსავლები:			
მოგება და სრული შემოსავლები პერიოდისათვის	(469)	57,510	57,040
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	175,184	(47,714)	127,470

შპს „გარდაზნის თბოსადგური“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	2017	2016
ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	212,649	178,608
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,993)	(2,612)
თვითღირებულების ხარჯი	(96,337)	(87,361)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4,546)	(3,558)
სახელმწიფოს მიერ დაბრუნებული დღგ	-	3,500
ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე	109,773	88,577
გადახდილი გადასახადები	(4,420)	(850)
სხვა ხარჯები / შემოსავლები	3,375	448
წმინდა ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(1,045)	(402)
ნაღდი ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,103)	(32,038)
ინვესტირება სხვა საწარმოებში	-	-
წმინდა ნაღდი ფული მიღებული/(გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობაში	(3,103)	(32,038)
ნაღდი ფული საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(85,420)	(60,060)
მიღებული სესხები	-	5,211
დამფუძნებლის მიერ კაპიტალის ზრდა / შემცირება	-	5,204
წმინდა ნაღდი ფული მიღებული/(გამოყენებული) საფინანსო საქმიანობაში	(85,420)	(49,644)
ცვლილება ნაღდ ფულსა და ექვივალენტებში	20,204	6,493
ნაღდი ფული და ექვივალენტები 01 იანვარს	14,785	8,292
ნაღდ ფული და ექვივალენტები 31 დეკემბერს	34,989	14,785

ირაკლი კანდელაკი
ფინანსური დირექტორი
თარიღი: 28 სექტემბერი, 2018წ

ლაშა მგელაძე
გენერალური დირექტორი
თარიღი: 28 სექტემბერი, 2018წ

შპს „გარდაბნის თბოსადგური“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	2017	2016
ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	212,649	178,608
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,993)	(2,612)
თვითღირებულების ხარჯი	(96,337)	(87,361)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4,546)	(3,558)
სახელმწიფოს მიერ დაბრუნებული დღგ	-	3,500
ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე	109,773	88,577
გადახდილი გადასახადები	(4,420)	(850)
სხვა ხარჯები / შემოსავლები	3,375	448
წმინდა ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(1,045)	(402)
ნაღდი ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,103)	(32,038)
ინვესტირება სხვა საწარმოებში	-	-
წმინდა ნაღდი ფული მიღებული/(გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობაში	(3,103)	(32,038)
ნაღდი ფული საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(85,420)	(60,060)
მიღებული სესხები	-	5,211
დამფუძნებლის მიერ კაპიტალის ზრდა / შემცირება	-	5,204
წმინდა ნაღდი ფული მიღებული/(გამოყენებული) საფინანსო საქმიანობაში	(85,420)	(49,644)
ცვლილება ნაღდ ფულსა და ექვივალენტებში	20,204	6,493
ნაღდი ფული და ექვივალენტები 01 იანვარს	14,785	8,292
ნაღდ ფული და ექვივალენტები 31 დეკემბერს	34,989	14,785

ირაკლი კანდელაკი
ფინანსური დირექტორი
თარიღი: 28 სექტემბერი, 2018წ

28.09.2018

ლაშა მგელაძე
გენერალური დირექტორი
თარიღი: 28 სექტემბერი, 2018წ



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შპს „გარდაზნის თბოსადგური“

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გარდაზნის თბოსადგური“, შემდგომში “კომპანია”, დაფუძნდა როგორც 51% / 49% მფლობელობის მქონე საწარმო, შესაბამისად სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (შემდგომში “სნგ”) და სს “საპარტნიორო ფონდის” (შემდგომში “ფონდი”) მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, 1301, ქ. გარდაზნი, დავით აღმაშენებლის 2ბ.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ა) გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის და ბ) ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა. 2015წ 07 სექტემბერს კომპანიამ მიიღო ელექტროენერგიის წარმოების უვადო ლიცენზია საქართველოს ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან, შემდგომში “სემეკი”. საქართველოს მთავრობის 2015წ 14 სექტემბრის #475 დადგენილებით კომპანიას მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი 2040 წლის 01 ოქტომბრამდე.

1.1. ბიზნეს გარემო

ვინაიდან კომპანია საქმიანობას აწარმოებს საქართველოში, იგი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდებიან განვითარებადი ბაზრების თვისებებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო ჩამოყალიბების პროცესშია და განიცდის სხვადასხვაგვარ გადავსებებსა და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა იურიდიულ თუ ფისკალურ წინააღმდეგობებთან ერთად ქმნის სირთულეს საქართველოში მოქმედი საწარმოებისათვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ქართული ბიზნეს გარემოს მიერ კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის მენეჯმენტისეულ შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

1.2 საქმიანობის სექტორი

კომპანია საქმიანობს ერთ ბიზნეს სექტორში - ელ-ენერგიის წარმოება და გაყიდვა. მას აქვს შემოსავლების ორი წყარო, რომლებსაც მართავს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. პირველ წყაროს, გარანტირებული სიმძლავრის მიწოდებით მიღებულ შემოსავლებს, ჰყავს ერთი კონტრაგენტი - სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი, შემდგომში „ესკო“. მეორე წყაროს, ელ-ენერგიის გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს, ჰყავს რამდენიმე კონტრაგენტი. კომპანიის გენერალური დირექტორი განიხილავს მმართველობით ანგარიშგებას ყოველკვარტლურად ან უფრო ხშირად. ქვემოთ მოტანილია კომპანიის საქმიანობის მოკლე შინაარსი:

- გარანტირებული სიმძლავრის წყარო - მოიცავს გარანტირებული სიმძლავრის მზადყოფნის გადასახადს, რომელსაც კომპანია იღებს ასეთი მზადყოფნის საფასურად.
- ელ-ენერგიის გაყიდვა - მოიცავს კომპანიის მიერ ელ-ენერგიის გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებს

შედეგების ინფორმაცია მოტანილია ქვემოთ. სემეკ-ის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად საქმიანობის შეფასება ხორციელდება ცალ-ცალკე შემოსავლების წყაროების მიხედვით. გაყიდული ელ-ენერგიის ტარიფი უნაზღაურებს კომპანიას წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ცვლად საოპერაციო ხარჯს, მოგების გარეშე. გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი კი ანაზღაურებს რაბ-ი (რეგულირებადი აქტივების ბაზა) გამრავლებული კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილ მნიშვნელობაზე (WACC) დამატებული ცვეთა და ფიქსირებული საოპერაციო ხარჯები, როგორცაა თანამშრომელთა ანაზღაურება, ფინანსური შემოსავალი და ხარჯი და სხვა. ასეთი ინფორმაცია შედის მმართველობითი აღრიცხვის შიდა ანგარიშგებებში. მენეჯმენტის აზრით ასეთი დაყოფა რეალურად ასახავს შედეგებს ამავე სფეროში მოქმედ სხვა კომპანიებთან შედარების მიზნებისათვის.

2. შედგენის საფუძვლები

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.2. საქმიანობისა და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციური ვალუტაა ქართული ლარი, შემდგომში „ლარი“. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია მეათასედამდე.

2.3. შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება

ფას-ის მიხედვით ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს დაშვებების და შეფასებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების წარმოდგენილ რიცხვებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ამ დაშვებებისგან.

შეფასებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც ის ხდება და სხვა მომავალ პერიოდებში, რომლებზეც ის ახდენს გავლენას.

კრიტიკული დაშვება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ მნიშვნელობებზე, შედის შემდეგ შენიშვნაში:

- შენიშვნა 17: ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები - შემნახველი ანაზრები სამი თვიდან ერთ წლამდე ვადით აღიარებულია, როგორც ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი;

2.3.1. რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულებები დაჯგუფებულია რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე, შეფასებისას გამოყენებული საწყისი პარამეტრების მიხედვით, შემდეგნაირად:

- 1 დონე: შეთავაზების ფასები იდენტური აქტივების და ვალდებულებებისათვის მოქმედ ბაზრებზე.
- 2 დონე: 1 დონეს მიკუთვნებული ფასებისგან განსხვავებული საწყისი მონაცემები, რომელთა მოძიებაც შესაძლებელია აქტივების და ვალდებულებებისათვის პირდაპირ (როგორც ფასი) ან არაპირდაპირ (როგორც დამოკიდებული ფასზე).
- 3 დონე: საწყისი მონაცემები აქტივების/ვალდებულებებისათვის, რომლებიც არ ეფუძნება ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს.

კომპანია აღიარებს ცვლილებებს/გადასვლებს რეალური ღირებულებების იერარქიაში იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც ცვლილება განხორციელდა.

დამატებითი ინფორმაცია რეალური ღირებულებების შეფასებისას გამოყენებულ დაშვებებზე იხ. შენიშვნაში 22(1) - სააღრიცხვო კლასიფიკაცია და რეალური ღირებულება.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

3.2. შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მიწოდებიდან

ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად მისაღები გარანტირებული სიმძლავრის საფასური აღირიცხება მიღებული ან მისაღები რეალური ღირებულებით, რასაც შესაძლოა, დააკლდეს სხვადასხვა ტიპის ფასდაკლებები, გასული თვის განმავლობაში კომპანიის მიერ გარანტირებული სიმძლავრის მიწოდების მზადყოფნის დღეების მიხედვით. გარანტირებული სიმძლავრის დღიურ საფასურს განსაზღვრავს სემეკი. შემოსავლის აღიარება როგორც წესი ხდება ესკო-სთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომლითაც მფლობელობის რისკები გადასულია მომხმარებელზე, შესაბამისი გადასახადის მიღება სავარაუდოა, შესაძლო ფასდაკლებები იოლად გამოთვლადია, მენეჯმენტის ხანგრძლივი ჩარევა აღარ არის საჭირო და მისაღები შემოსავლის მოცულობა საიმედოდ გამოითვლება.

3.3. შემოსავალი ელექტროენერგიის გამომუშავებისა და გაყიდვიდან

შემოსავალი ელ-ენერგიის გაყიდვიდან აღიარდება სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის, შემდგომში „სსე“, მრიცხველების საშუალებით გაზომილი ელ-ენერგიის რაოდენობის მიწოდების შედეგად.

3.4. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდით. სესხის ხარჯები, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაბამისი აქტივის შეძენაზე, შექმნაზე ან აშენებაზე ვერ ხერხდება, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით.

3.5. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, გარიგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისათვის ლარში ღირებულებასა, დაკორექტირებულს ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაში შესასრულებელი გადასახადებით, და უცხოურ ვალუტაში ღირებულებას შორის, რომელიც გადაყვანილია ლარში პერიოდის ბოლოს კურსით.

3.6. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ჩვეულებრივ შედგება მიმდინარე და გადავადებული ნაწილებისაგან. ის აღიარდება მოგება-ზარალში გარდა პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლებში შესული ნაწილისა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად, ვინაიდან კომპანიას არ გაუნაწილებია მოგება 2017 წლის განმავლობაში, ანგარიშგება არ მოიცავს მოგების გადასახადს. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახავს დღ-ის აქტივს, როგორც მიმდინარე საგადასახადო აქტივს.

3.7. მარაგები

მარაგები აღირიცხება საწყის ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულება შორის უმცირესით. მარაგების საწყისი ღირებულება აღირიცხება „პირველად შემოსული პირველად გადის“ პრინციპით და მოიცავს მარაგების შეძენა-შექმნა-გადამუშავებასთან დაკავშირებულ და მათ არსებულ მდებარეობა-მდგომარეობაში მიყვანის ხარჯებს.

წმინდა გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობისას მისაღები გასაყიდი ფასი, რომელსაც აკლდება პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

3.8. ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები. დამფუძნებლების მიერ შემოტანილი ძირითადი საშუალებები აღიარდება შეძენის ღირებულებით. 2017წ 01 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ღირებულება განსაზღვრულ იქნა ამ თარიღისათვის მათი რეალური ღირებულებით („მიღებული ღირებულებით“).

შეძენის ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, პირდაპირი ხელფასების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანის, მათი არსებული მდებარეობიდან დაშლა-წამოღების, აღნიშნული მდებარეობის აღდგენის და შეძენისათვის საჭირო სესხის კაპიტალიზირებულ ნაწილს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი დანადგარის მუშაობისათვის კაპიტალიზირდება, როგორც ამ დანადგარის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს აქვთ სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, ისინი აღირიცხება, როგორც ამ ძირითადი საშუალების ცალკეული ნაწილები, ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება მისაღები თანხის შედარებით მის ნარჩენ ღირებულებასთან და შესაბამისად აღიარდება წმინდა მოგება-ზარალად სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯი ემატება მის ნარჩენ ღირებულებას, თუ სავარაუდოა, რომ ნაწილის გამოყენებით მიღებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიას დარჩება და თუ მისი ხარჯი

საიმედოდ გაზომვადია. შეცვლილი ნაწილის ნარჩენი ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მომსახურების ხარჯი მოგება-ზარალში ჩამოიწერება.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

გენერაციის ობიექტების ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადაა 25 წელი.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გადახედავს მიდგომებს ცვეთის, სასარგებლო გამოყენების ვადის და საბოლოო ნარჩენი ღირებულების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში კი შეიტანს მათში ცვლილებებს.

3.9. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხებად და მოთხოვნებად აღრიცხავს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებათა კატეგორიაში აღრიცხავს.

3.10. არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს სესხებს და მოთხოვნებს მათი წარმოქმნის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება იმ გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია გახდა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც ვადა გასდის მის უფლებას აქტივისგან მისაღებ ფულად ნაკადებზე, ან კომპანია გადასცემს ასეთ ფულად ნაკადებს ხელშეკრულებით, რომლითაც შესაბამისი აქტივის ფლობის რისკები და სარგებელი თითქმის სრულად გადაეცემა სხვა მხარეს. გადაცემული აქტივის ნებისმიერი ნარჩენი სარგებელი აღირიცხება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, მაშინ როდესაც შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა.

ფინანსური აქტივისა და ვალდებულების განაშთავით აღიარება და შესაბამისი წმინდა ნარჩენი ღირებულების ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ჩაითვალოს აღიარებული მოცულობა და აპირებს მისი წმინდა ღირებულებით გამოყენებას, ან აპირებს ერთდროულად გაყიდოს აქტივი და შეასრულოს ვალდებულება.

3.11. სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფიქსირებული ან წინასწარგანსაზღვრული გადახდების მქონე ისეთი ფინანსური აქტივების კატეგორიაა, რომლებიც მოქმედ ბაზარზე არ გვხვდება, ან ინფორმაცია მათ შესახებ არ არის საჯარო. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს აქტივები შეფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით და მცირდება გაუფასურების ნებისმიერი ზარალით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს გაცემულ მოკლევადიან სესხებს, მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და ფულსა და მის ექვივალენტებს.

3.12. არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და მცირდება

ნებისმიერი, ტრანზაქციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს/კრედიტებს და მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

3.13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეთანხმებულია დამფუძნებლებს შორის და კლასიფიცირდება კაპიტალად. ის 105,060 აშშ დოლარის ეკვივალენტურია და იცვლება პერიოდულად, საწყისი კაპიტალის გაზრდის/შემცირების შესაბამისად, როდესაც ასეთი მოხდება.

საწესდებო კაპიტალის შემცირება

საწესდებო კაპიტალის შემცირება ან აქტივების არაფულადი განაწილება აღიარდება განაწილებული აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით. კომპანიის მიერ არაფულადი აქტივების განაწილება სცილდება IFRIC 17-ის „არაფულადი აქტივების განაწილება მფლობელებისათვის“ ფარგლებს, ვინაიდან საბოლოო მაკონტროლებელი მხარე აკონტროლებს აქტივს განაწილებამდე და მის შემდეგ.

3.14. გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ იგი გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი ითვლება გაუფასურებულად, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგა ზარალის გამომწვევი შემთხვევა და მას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს:

- მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი გაკოტრება;
- კომპანიის მიერ მისაღები თანხის რესტრუქტურზაცია;
- მინიშნება, რომ მოვალე მალე გაკოტრდება;
- მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს ფინანსური აქტივების ჯგუფში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი შემცირება.

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობისას შეფასდება აქტივის ამოღებადი თანხა. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის წარმომქმნელი ერთეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება აქტივის სავარაუდო ამოღებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები, რომელთა ტესტირება სათითაოდ შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების ისეთ ყველაზე მცირე ჯგუფში, რომელიც გამოიმუშავებს ნაღდ ფულს ხანგრძლივი გამოყენებისას და რომელიც სხვა აქტივების მიერ გამოიმუშავებული ფულისგან ძირითადად დამოუკიდებელია.

აქტივის ან ნაღდი ფულის გენერირების წყაროს ამოღებადი თანხა უდიდესია მის არსებულ და რეალურ ღირებულებებს შორის, დაკლებული გაყიდვის ხარჯები. არსებული ღირებულება გამოითვლება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და აქტივის სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

4. რეზერვები

რეზერვის აღიარება ხდება, თუ კომპანიას წარსული შემთხვევის შედეგად გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ვალდებულება, რომელიც საიმედოდ შეფასებადია და ეკონომიკური სარგებლის გადინება შესაძლოა საჭირო გახდეს მის შესასრულებლად. რეზერვის მნიშვნელობა გამოითვლება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და ვალდებულების სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას. დისკონტის შემცირება აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯი.

5. გეოგრაფიული ინფორმაცია

კომპანიის შემოსავლები მიიღება და ყველა მისი გრძელვადიანი აქტივი მდებარეობს საქართველოში.

6. რაოდენობები

ცხრილში ქვემოთ მოტანილია გაყიდული ელ-ენერგიის რაოდენობები 2016-17 წლებისათვის. ვინაიდან კვტ-სთ-ის ტარიფი შეიცვალა 2017 წლის ოქტომბრიდან, ცხრილში 2017 წლის 9 თვისა და მე-4 კვარტლის რაოდენობები ასევე ცალ-ცალკეა მოცემული.

'000 კვტ-სთ	9 თვე 2017	მე-4 კვ 2017	2016
ელ-ენერგიის გაყიდვა	598,507	525,591	1,119,160

7. ტარიფები

სემეკი ადგენს გარანტირებული სიმძლავრის და წარმოებული ელ-ენერგიის ტარიფებს.

გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი დგინდება მომდევნო წლისათვის და იყოფა ამ წლის განმავლობაში კომპანიის მიერ გამოცხადებული მზადყოფნის დღეებზე. როგორც წესი, კომპანია წელიწადში 300 დღეა სიმძლავრის მიწოდების მზადყოფნაში. გაყოფის მიზანია გამოყენებისათვის უფრო მოქნილი რიცხვის - გარანტირებული სიმძლავრის ღირებულება დღეში - მიღება. გარანტირებული სიმძლავრის ტარიფის კომპანიისათვის ყველაზე მნიშვნელოვან სიდიდეს წარმოადგენს WACC, რომელიც უზრუნველყოფს რეგულირებადი მოგების მიღებას კომპანიის მიერ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციაზე. 2015-17წწ WACC 13.54% იყო, ხოლო 2018 წლიდან სემეკმა ის 16.4%-მდე გაზარდა, სიმძლავრის მიწოდებისათვის უფრო სამართლიანი ანაზღაურების მიზნით.

გაყიდული ელ-ენერგიის ტარიფიც მომავალი პერიოდისათვის, ძირითადად წლისათვის, დაითვლება. შესაძლო შესწორებების გათვალისწინება ხდება მომავალი პერიოდის ტარიფის დადგენისას. ასეთი კორექტირების დროულად განხორციელების მიზნით სემეკ-მა 2017 წლის ტარიფის საწყისი მნიშვნელობა შეცვალა 2017წ ოქტომბრიდან.

ლარი	9 თვე 2017	მე-4 კვ 2017	2016
გს ტარიფი დღეში	343,884	343,884	366,173
1 კვტ-სთ ელ-ენერგიის ტარიფი	0.09056	0.08056	0.06659

8. ძირითადი მომხმარებელი

2017 წელს კომპანიამ მიიღო 103,165,000 ლარი გარანტირებული სიმძლავრის საფასური ესკო-სგან, რაც მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 52%-ია (2016წ: 109,852,000 ლარი; 60%).

9. შემოსავალი

'000 ლარი	2017	2016
გარანტირებული სიმძლავრის საფასური	103,165	109,852
გაყიდული ელ-ენერგიის საფასური	96,545	74,525
სხვა საოპერაციო შემოსავლები	46	83
სულ შემოსავალი	199,756	184,460

შემოსავალი მოიცავს გარანტირებული სიმძლავრის საფასურს 103,165,000 ლარის, გაყიდული ელ-ენერგიის საფასურს 96,545,000 ლარის და სხვა საოპერაციო შემოსავლის 46,000 ლარის ოდენობით.

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	2017	2016
ცვეთა და ამორტიზაცია	17,366	17,043
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაციული)	5,671	4,515
დაზღვევის ხარჯები	605	706
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	115	12
სატელეკომუნიკაციო მომსახურება	76	66
მივლინების ხარჯები	58	52
წარმომადგენლობითი ხარჯები	40	10
საექსპერტო მომსახურება	11	46
ტერიტორიის მოვლა შენახვა	8	3
ოფისის და სამეურნეო ხარჯი	3	2
დაცვის მომსახურება	2	320
საფოსტო-საკურიერო მომსახურება	2	1
იურიდიული ხარჯები	1	7
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23,957	22,783

11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

'000 ლარი	2017	2016
გაზის ხარჯი	87,509	81,666
ქიმიკატების და წყლის ხარჯი	564	602
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	88,073	82,268

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2017	2016
სადგურის ოპერირების მომსახურება	5,024	8,478
გადასახადები და მოსაკრებელი	4,188	4,347
სადგურის მიმდინარე რემონტის ხარჯები	723	1,082
რეგულირების საკომისიო ხარჯი	399	369
კომუნალური მომსახურების ხარჯი	380	387
სამშენებლო სამუშაოს ზედამხედველობა	290	313
მიწოდების სხვა ხარჯები	222	222
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	143	106
რეკლამის ხარჯები	3	8
რემონტის ხარჯი	5	-
შესყიდვების სააგენტოს მომსახურება	5	4
ტრანსპორტირების ხარჯი	-	1
სხვა ხარჯები	141	107
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	11,523	15,423

13. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

'000 ლარი	2017	2016
აღიარებულია მოგება-ზარალში		
შემოსავალი ფინანსური ვალდებულების გადაფასებიდან	10,057	
საპროცენტო შემოსავალი	4,513	1,375
ჯარიმები	277	52
ფინანსური შემოსავალი	14,846	1,428
საპროცენტო ხარჯი	(33,824)	(34,125)
გასავალი ფინანსური ვალდებულების გადაფასებიდან	-	(39,140)
ფინანსური ხარჯი	(33,824)	(73,265)
მოგება-ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი	(18,979)	(71,837)

14. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	
ღირებულება	
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	409,716
დამატება	320
გადაცემა	(3,555)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	406,481
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	406,481
დამატება	66
გადაცემა	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	406,547
ცვეთა და ამორტიზაცია	
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	7,585
ცვეთა წლის განმავლობაში	16,309
გადაცემა	(111)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	23,783
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	23,783
ცვეთა წლის განმავლობაში	16,324
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	40,107
ნარჩენი ღირებულება	
2016 წლის 1 იანვარს	402,131
2016 წლის 31 დეკემბერს	382,699
2017 წლის 31 დეკემბერს	366,440

15. მოგების გადასახადი

2017 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი. მის მიხედვით დაბეგვრის მომენტი შეიცვალა მოგების გამომუშავებიდან მოგების განაწილებაზე. ამ ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოში მოგების გადასახადზე. ვინაიდან კომპანიას არ გაუნაწილებია მოგება 2017 წელს, მას შესაბამისად არ ჰქონდა მოგების გადასახადი.

16. მოთხოვნები მიწოდებიდან

'000 ლარი	2017	2016
სავაჭრო მოთხოვნები	12,677	25,426
სხვა მოთხოვნები	589	-
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან	13,266	25,426

კომპანიაზე საკრედიტო და სავალუტო რისკების ზეგავლენა და მოთხოვნების შესაძლო გაუფასურების დანაკარგები აღწერილია 22-ე შენიშვნაში.

17. ფული და ფულის ექვივალენტები

'000 ლარი	2017	2016
საბანკო ნაშთები	24,989	12,613
შემნახველი ანაბრები	10,000	2,005
შეზღუდული ფული	-	167
სულ	34,989	14,785

საბანკო ნაშთებში შედის მიმდინარე და სამ თვეზე ნაკლებ ვადიანი შემნახველი ანაბრები, შემნახველ ანაბრებში კი სამი თვიდან ერთ წლამდე ანაბრები.

კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკის ზეგავლენა და კომპანიის მათდამი მგრძნობელობა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის აღწერილია 22-ე შენიშვნაში.

18. კონტროლის არმქონე მფლობელები

ფონდის შენატანი საწესდებო კაპიტალში წარმოადგენს კონტროლის არმქონე მფლობელის შენატანს და მის წილს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაში. ვინაიდან რეალურად ფონდი სნგკ-ს მფლობელია, ითვლება რომ მას შეუძლია სრულად გააკონტროლოს კომპანია.

19. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ცალკე დამტკიცებული პოლიტიკა. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი მისი საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. კომპანია ამას ნაღდი ფულის ეფექტური მართვის, შემოსავლების და მოგების მუდმივი მონიტორინგით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების კომპანიის საოპერაციო ნაღდი ფულის ნაკადებით დაფინანსებით აღწევს. ამ ღონისძიებებით კომპანია უზრუნველყოფს მოგების უწყვეტ ზრდას.

2017 წლის განმავლობაში კომპანიას კაპიტალის მართვისადმი მიდგომები არ შეუცვლია. მას არ აქვს გარედან დაკისრებული მოთხოვნები კაპიტალისადმი.

20. მიღებული სესხები

ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებების პირობები, რომლებიც გაიზომება ამორტიზებული ხარჯის მეთოდით. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთების, ვალუტების კურსების ცვლილების და ლიკვიდურობის რისკების შესაძლო ზეგავლენა აღწერილია შენიშვნაში N22.

'000 ლარი	2017	2016
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სნგკ-ს უზრუნველყოფილი სესხი გრძელვადიანი ნაწილი	269,736	363,419
სულ	269,736	363,419
მიმდინარე ვალდებულებები		
სნგკ-ს უზრუნველყოფილი სესხის მიმდინარე ნაწილი	52,786	19,873
სულ	52,786	19,873

პირობები და გადახდის გრაფიკი

სნგკ-ს უზრუნველყოფილი სესხის პირობები შემდეგია:

'000 ლარი	ვალუტა	სარგებლის ნომინალური განაკვეთი	გადახდის ვადა	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
				საწყისი ღირებულება	ნარჩენი ღირებულება	საწყისი ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
სნგკ-ს უზრუნველყოფილი სესხი	USD	9.50%	2023			220,000	383,292
სულ სარგებლის მქონე ვალდებულებები				220,000	322,522	220,000	383,292

18 ოქტომბერს კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას მის დამფუძნებელთან, სნგკ-თან, რომლითაც მას შეუძლია მიიღოს 120 მლნ აშშ დოლარის ან 220 მლნ ლარის ქონებით უზრუნველყოფილი სესხი. სესხის საპროცენტო განაკვეთია წლიური 9.5% ნომინალურ ღირებულებაზე. სესხი, ისევე როგორც დამფუძნებელთა შენატანები კაპიტალში, გამოყენებულ იქნა კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის ასაშენებლად.

21. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

'000 ლარი	2017	2016
სავაჭრო ვალდებულებები	11,966	13,828
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ	11,966	13,828

კომპანიაზე სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალუტის კურსის ცვლილების და ლიკვიდურობის რისკების შესაძლო ზეგავლენა აღწერილია შენიშვნაში 22.

22. რეალური ღირებულება და რისკების მართვა

22.1. სააღრიცხვო კლასიფიკაცია და რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია განსაზღვროს აქტივის გაყიდვით ან ვალდებულების გადაცემით მიღებული სავარაუდო ფასი ბაზრის მონაწილეთა მიერ განხორციელებულ სამართლიან გარიგებაში მისი შეფასების მომენტისათვის. ზემოთქმულის მიუხედავად, შესაძლო გაურკვევლობათა და სუბიექტური მიდგომების გათვალისწინებით რეალური ღირებულება არ უნდა იქნას მიჩნეული აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის შედეგად მყისიერად მისაღებ ღირებულებად.

22.2. რეალური ღირებულების შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ იზომება რეალური ღირებულებით

ტიპი	დონე	შეფასების ტექნიკა	მნიშვნელოვანი, ბაზარზე არარსებული საწყისი მონაცემები
ფინანსური აქტივი	2	ფულადი ნაკადის დისკონტირება	არა
ფინანსური ვალდებულება	2	ფულადი ნაკადის დისკონტირება	არა

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნარჩენი ღირებულება მათი რეალური ღირებულების გონივრული მიახლოებია.

22.3. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია, მისი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას, დამოკიდებულია შემდეგ რისკებზე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

22.4. რისკების მართვის მიდგომები

ზოგადი პასუხისმგებლობა კომპანიის მიერ რისკების მართვის მიდგომების ჩამოყალიბებასა და ზედამხედველობაზე ენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია აღრიცხოს და გააანალიზოს კომპანიაზე შესაძლო გავლენის მქონე რისკები, დააწესოს რისკების ლიმიტები და მათი კონტროლები და ზედამხედველობა გაუწიოს რისკებსა და მათი ლიმიტების დაცვას. რისკების მართვის სისტემები რეგულარულად გადაიხედება საბაზრო პირობებისა და კომპანიის საქმიანობის ცვლილებების გათვალისწინების მიზნით.

22.5. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური დანაკარგის რისკს, თუკი ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს. ასეთი რამ ძირითადად წარმოიქმნება კომპანიის მოთხოვნების, გაცემული სესხების და ნაღდი ფულის და მისი ექვივალენტების მიმართ.

ფინანსური აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ შესაძლო ზარალს. საკრედიტო რისკების მაქსიმალური მოცულობა ანგარიშგების თარიღისათვის იყო შემდეგი:

	ნარჩენი ღირებულება	
'000 ლარი	2017	2016
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,266	25,426
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	34,988	14,785
	48,254	40,211

22.6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება მომხმარებლებისაგან გარანტიების მოთხოვნით ან მათი კრედიტუნარიანობის შეფასებით მათთვის კრედიტის გაცემამდე. კომპანია, როგორც წესი, არ ითხოვს გარანტიებს მომხმარებლებისაგან.

კომპანია აწესებს გაუფასურების რეზერვს მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისადმი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის კომპანიას არ ჰქონდა ვადაგადაცილებული მოთხოვნები.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიწოდებიდან/მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისადმი საკრედიტო რისკის შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობა შემდეგია:

ნარჩენი ღირებულება		
'000 ლარი	2017	2016
ადგილობრივი	13,266	25,426
	13,266	25,426

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიწოდებიდან/მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისადმი საკრედიტო რისკის შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობა მომხმარებლის ტიპის მიხედვით შემდეგია:

ნარჩენი ღირებულება		
'000 ლარი	2017	2016
გარანტირებული სიმძლავრე, ესკო	1,376	14,158
ელექტროენერგიის გაყიდვები	11,302	11,268
ბანკები	589	-
	13,266	25,426

22.7. გაუფასურების დანაკარგები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიწოდებიდან/მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისადმი ხანდაზმულობა შემდეგია:

'000 ლარი	დარიცხვა 2017	გაუფასურება 2017	დარიცხვა 2016	გაუფასურება 2016
ვადიანი	13,266	-	25,426	-
0-30 დღიანი ვადაგადაცილებით	-	-	-	-
	13,266	-	25,426	-

2017 წლის ბოლოს კომპანიას არ ჰქონდა ვადაგადაცილებული მოთხოვნები.

22.8. ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას ჰქონდა ნაღდი ფული ორ ბანკში, რომელთა ნაშთები ნაღდი ფულისა და ექვივალენტების საერთო მოცულობის 10%-ს აჭარბებდა (2016წ 31 დეკემბერს: სამი ბანკი). ამ ნაშთების ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2017წ 31 დეკემბერს იყო 34,989 ათასი ლარი (2016წ 31 დეკემბერს: 14,785 ათასი ლარი). Fitch Rating-ის მიერ ამ ორი ბანკისათვის მინიჭებული გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი 2017წ 31 დეკემბერს იყო BB-.

22.9. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს კომპანიის მიერ ისეთი საკუთარი ვალდებულებების შესრულებისას სირთულეების წარმოქმნის რისკს, რომლებიც მოითხოვენ ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გამოყენებას. კომპანია ასეთი ლიკვიდურობის მართვისას ცდილობს ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ნაღდი ფული თავისი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე საგანგებო პირობებში, დამატებითი დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციის დაზიანების გარეშე.

ჩვეულებრივ კომპანია ინარჩუნებს საკმარის ნაღდ ფულს უახლოესი 60 დღის მანძილზე არსებული საოპერაციო ვალდებულებების შესასრულებლად, ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით. ასეთი მიდგომა არ ითვალისწინებს ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებს, როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფები.

22.10. ლიკვიდურობის რისკის მოცულობა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სახელშეკრულებო ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რომლებიც მოიცავენ სარგებელს. არ ვვარაუდობთ, რომ მითითებული ვადები ან მოცულობები მნიშვნელოვნად შეიცვლება.

2017 წ.	ნარჩენი ღირებულება	0-6 თვე	6-12 თვე
'000 ლარი			
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
უზრუნველყოფილი სესხი	322,522	52,786	52,788
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11,966	11,964	-
	334,488	64,750	52,788
2016 წ.			
	ნარჩენი ღირებულება	0-6 თვე	6-12 თვე
'000 ლარი			
უზრუნველყოფილი სესხი	383,292	19,873	19,873
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,828	13,828	-
	397,120	33,701	19,873

22.11 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ცვლილებები ისეთ საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის ფასი, საპროცენტო განაკვეთები და აქციების ფასები, ზეგავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავლებსა ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია გააკონტროლოს მისი შესაძლო ზეგავლენა მისაღებ ფარგლებში, მოგების შენარჩუნებასთან თანადროულად.

22.12. სავალუტო რისკი

კომპანია განიცდის შესაძლო უარყოფით გავლენას გაყიდვების, შესყიდვების და სესხების აღებისას უცხოურ ვალუტაში. ასეთ ძირითად ვალუტას წარმოადგენს აშშ დოლარი.

კომპანიაზე აშშ დოლარის კურსის ცვლილების შესაძლო უარყოფითი გავლენის მოცულობა შემდეგია:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული	აშშ დოლარში დენომინირებული
	2017	2016
მოთხოვნები მიწოდებიდან	-	-
ფული და მისი ექვივალენტები	-	-
ვალდებულებები მიწოდებიდან	-	-
სესხები	(322,522)	(383,292)
მთლიანი მოცულობა	(322,522)	(383,292)

22.13. მგრძნობელობა

ცხრილში ქვემოთ მოტანილია აშშ დოლარის მიმართ ლარის გონივრულად დასაშვები 30%-იანი გამყარებისას ამ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას მისაღები მოგების/(ზარალის) მოცულობა. იგულისხმება, რომ ყველა სხვა პარამეტრი, საპროცენტო განაკვეთების ჩათვლით, დარჩება იგივე.

'000 ლარი	მოგება/(ზარალი)
2017 წლის 31 დეკემბერი	96,405
2016 წლის 31 დეკემბერი	114,988

აშშ დოლარის მიმართ ლარის იგივე, 30%-იანი გაუფასურებას ექნებოდა იგივე მოცულობის, მხოლოდ საპირისპირო მიმართულების ეფექტი. იგულისხმება, რომ ყველა სხვა პარამეტრი დარჩება უცვლელი. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები პირდაპირ კაპიტალზე გავლენას ვერ მოახდენს.

22.14. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი

საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ძირითადად გავლენას ახდენს სესხებზე, მათი საწყის ღირებულებაზე (ფიქსირებულ სარგებლიანი სესხებისთვის) ან მომავალ ფულად ნაკადებზე (ცვლადი სარგებლის მქონე სესხებისთვის). კომპანიას არ აქვს ცალკე დამტკიცებული პოლიტიკა ფიქსირებული ან ცვლადი სარგებლის სესხებისათვის ზღვრების დაწესების მიზნით.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკის მოცულობა

კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შესაძლო უარყოფითი გავლენის მოცულობა შემდეგია:

	ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	2017	2016
ფიქსირებულ სარგებლიანი ინსტრუმენტები		
ნაღდი ფული და ექვივალენტები	34,989	14,785
სესხები	(322,522)	(383,292)
	(287,533)	(368,507)

23. მგრძნობელობითი ანალიზი ფიქსირებულ სარგებლიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულ სარგებლიან ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ან როგორც გაყიდვისათვის მზადყოფნაში. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება საანგარიშგებო თარიღისათვის ვერ მოახდენდა გავლენას მოგება-ზარალსა ან კაპიტალზე.

24. კაპიტალური ინვესტიციები და სხვა ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას ჰქონდა ხელშეკრულება საწყობის მშენებლობაზე 12,000-ლარიანი ვალდებულების მოცულობით (2016 წლის 31 დეკემბერს: 131,000 ლარი).

25. სხვა პირობები

25.1. დაზღვევა

კომპანიას დაზღვეული აქვს ძირითადი საშუალებები, ბიზნესის შესაძლო წყვეტა, მანქანა-დანადგარები, მოგების შესაძლო დაკარგვა და მესამე მხარის წინაშე პასუხისმგებლობა ქონებასა და გარემოზე ზემოქმედების შედეგად, კომპანიის ქონებაზე ან კომპანიის საქმიანობისას დამდგარი შემთხვევებისას.

25.2. სასამართლო საქმეები

2017 წელს კომპანია წარმოადგენდა მხარეს ორ სასამართლო საქმეში, ა) როგორც მომჩივანი მომწოდებლის წინააღმდეგ, ღირებულებით 91,000 ლარი და ბ) როგორც მესამე მხარე LLC Georgian Manganese-ის სარჩელში სემეკ-ის წინააღმდეგ, 2015-16 წლების სატარიფო მეთოდოლოგიის გამო.

პირველი საქმის განხილვა ჯერ არ ჩანიშნულა, ხოლო მეორე საქმეზე მიმდინარეობს განხილვა. შემდგომი სხდომა დანიშნულია 2018 წლის 02 ოქტომბერს.

25.3. საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებებით, რომლებიც ხანდახან არამკაფიო, წინააღმდეგობრივი და განსხვავებულად აღქმადია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა შექმნას სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები. მიუხედავად ამისა, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მას საგადასახადო კოდექსზე, ოფიციალურ შეფასებებსა და შემოსავლების სამსახურთან კომპანიის ურთიერთობიდან გამომდინარე, ასევე მიმდინარე საგადასახადო ბალანსის შესაბამისად მას სწორად აქვს გააზრებული კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან, რამაც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2017 წლიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი, რომლის მიხედვით გადასახადი ერიცხება არა მოგების მიღების, არამედ მისი განაწილების მომენტში. ამ ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს საგადასახადო გარემოსა და საქართველოში მოქმედ საწარმოებზე. ცვლილების შედეგად კომპანიას 2017 წელს არ ერიცხებოდა მოგების გადასახადი.

25.4. გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველოს გარემოს დაცვითი კანონმდებლობის ამოქმედება ადრეულ სტადიაზეა. სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი შესაბამისად მუდმივად იხვეწება. კომპანია პერიოდულად აფასებს საკუთარ ვალდებულებებს მოქმედი გარემოსდაცვითი წესების ფარგლებში. თუ ცხადი გახდა, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება ეკისრება, მისი აღიარება ხდება დაუყოვნებლივ. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ცვლილებებით, სასამართლოს და საჯარო სამსახურების მიერ დადგენილი ახალი წესებით გამოწვეული ვალდებულებები ვერ შეფასდება გონივრულად, თუმცა მათ შესაძლოა მნიშვნელოვანი შედეგები გააჩნდეთ. ამჟამად მოქმედი წესების პირობებში მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ვალდებულებები საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობიდან გამომდინარე.

26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

26.1. მფლობელები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ სნგკ, 51% და ფონდი, 49%. კომპანიის საბოლოო მფლობელია სახელმწიფო. მისი დამფუძნებლები აწარმოებენ საჯარო ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება სნგკ-ს კონსოლიდირებული ანგარიშგების ნაწილია.

2016 წელს კომპანიამ ფონდისგან მიიღო 2,095 ათასი აშშ დოლარის მოკლევადიანი სესხი, რომელიც დაფარა იმავე წელს.

26.2. ოპერაციები ძირითად მენეჯმენტთან

ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტმა მიიღო თანამშრომელთა ხარჯებში აღრიცხული შემდეგი ანაზღაურება:

'000 ლარი	2017	2016
ხელფასები და პრემიები	388	394

26.3 ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია ყოველდღიურ საქმიანობაში ურთიერთქმედებს საწარმოებთან, რომლებიც ცალკე ან ერთობლივად კონტროლდებიან სახელმწიფოს მიერ ან მისი მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. ვინაიდან ესკო, კომპანიის უმნიშვნელოვანესი პარტნიორი და სხვა მთავრობასთან დაკავშირებული მხარეები დროულად ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიის წინაშე, კომპანიამ გადაწყვიტა არ ისარგებლოს IAS 24-ით „განმარტებები დაკავშირებული მხარეების გამო“ არსებული გამონაკლისის საშუალებით, რომელიც მას მისცემდა ნაკლები განმარტებების გაკეთების საშუალებას მთავრობასთან დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის შესახებ.

მენეჯმენტი თვლის, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შემოსავლებისა და ხარჯების და სხვა საბალანსო ნაშთების მთლიანი მოცულობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო საწარმოებთან, არ არის მნიშვნელოვანი.

შემოსავალი

'000 ლარი	გარიგებები 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის		ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბრის	
	2017	2016	2017	2016
მთავრობასთან დაკავშირებული მხარეები:				
შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრიდან	103,165	109,852	1,376	14,158
შემოსავალი ელ-ენერგიის გაყიდვიდან	16,716	18,260	1,027	-33,055
	252,864	128,112	2,403	-18,897

ხარჯი

'000 ლარი	გარიგებები 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის		ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერს	
	2017	2016	2017	2016
მთავრობასთან დაკავშირებული მხარეები:				
გაზის ტრანსპორტირების ხარჯი	3,869	2,419	637	356
სნგკ სესხის საპროცენტო ხარჯი	33,824	34,125	-	-
	37,693	36,544	637	356

27. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი პერიოდის მოვლენები

27.1. შპს „ჯორჯიან მანგანეზი“

2018წ ივნისში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამატებული ღირებულების გადასახადის ოდენობით დაკორექტირდა (გაიზარდა) შპს „ჯორჯიან მანგანეზისთვის“ 2017წ ოქტომბერსა და ნოემბერში გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, შესაბამისად 145,008 და 101,505.6 ლარზე. ამ მოვლენის შედეგად შეიცვლება საწარმოს ბალანსი - გაიზრდება როგორც მოთხოვნები მიწოდებიდან ასევე საგადასახადო ვალდებულებები (რაც აისახება 2018წ ანგარიშგებაში), ხოლო მოგება-ზარალის უწყისი ცვლილებების გარეშეა.

შპს “გარდაბნის თბოსადგური”

მმართველობის ანგარიშგება

2017 წლის 31დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების მოსაზრება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების მოსაზრება	3
მმართველობის ანგარიშგება	4

დამოუკიდებელი აუდიტორების მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს-ის „გარდაბნის თბოსადგური“ თანმხლები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. ანგარიშგება შედგება შპს-ის „გარდაბნის თბოსადგური“ საქმიანობის მიმოხილვისგან. ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად შპს-ის „გარდაბნის თბოსადგური“ მენეჯმენტი სრულადაა პასუხისმგებელი ამ კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე. შპს-მ „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“ ჩაატარა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების შემოწმება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი, ანა ოსიყმიშვილი:

2018 წლის 6 ივლისი

დამოუკიდებელი აუდიტორების მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს-ის „გარდაბნის თბოსადგური“ თანმხლები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. ანგარიშგება შედგება შპს-ის „გარდაბნის თბოსადგური“ საქმიანობის მიმოხილვისგან. ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად შპს-ის „გარდაბნის თბოსადგური“ მენეჯმენტი სრულადაა პასუხისმგებელი ამ კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე. შპს-მ „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“ ჩაატარა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების შემოწმება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი, ანა ოსიყმიშვილი:



2018 წლის 6 ივლისი

შპს გარდაბნის თბოსადგურის მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს გარდაბნის თბოსადგური, შემდგომში კომპანია, საქართველოს ელექტროსისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ის განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში. კომპანია ქვეყანაში ერთადერთი კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურია, 2+2+1 კონფიგურაციით - ორი გაზის ტურბინა სიმძლავრით 75 მგვტ თითოეული, ორი ორთქლის ქვაბ-უტილიზატორი და ერთი ორთქლის ტურბინა სიმძლავრით 80 მგვტ. სადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრეა 230 მგვტ. აღნიშნული ტექნოლოგია ყველაზე თანამედროვეა ამ სფეროში მსოფლიოში დღეს არსებულ ტექნოლოგიებს შორის. კომპანია ყოველწლიურად 1.2-1.6 მლრდ კვტ.სთ. ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც საქართველოს საერთო მოთხოვნის დაახლოებით 10%-ს აკმაყოფილებს. ძირითადი ნედლეულია ბუნებრივი აირი, რომლის ყოველწლიური ხარჯია დაახლოებით 225-230 მლნ კუბური მეტრი და თვითღირებულების 95%-ზე მეტს შეადგენს. სადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი 50-52%, რაც 20-22%-ით აღემატება ორთქლის და გაზო ტურბინული სადგურების მქც-ს.

კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება გენერალურ დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომპანიის მმართველ რგოლს ასევე გენერალურ დირექტორის მოადგილე, წარმოების მთავარი ინჟინერი და ფინანსური დირექტორი წარმოადგენენ.

სადგურის მშენებლობა 2013 წელს დაიწყო და 2015 წლის ივლისში დასრულდა. მასზე დაიხარჯა დაახლოებით 230 მლნ აშშ დოლარი, მთლიანად დაფინანსებული კომპანიის მფლობელების, სს „სპარტნიორო ფონდისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ. სადგურზე დამონტაჟდა უახლესი ტექნოლოგიის General Electric-ის გაზის ტურბინები, Nooter Eriksen-ის ქვაბ-უტილიზატორები, Doosan Skoda-ს ორთქლის ტურბინა და მსოფლიოს სხვა წამყვანი კომპანიების მიერ დამზადებული თანამედროვე ენერგეტიკული და სხვა ტიპის მანქანა-დანადგარები. მშენებლობის გენერალური კონტრაქტორი იყო თურქული კომპანია „ჩალიკ ენერჯი“, რომელსაც ამ სფეროში წარმატებით შესრულებული პროექტების მდიდარი გამოცდილება აქვს.

საქართველოს მთავრობის 2015წ 14 სექტემბრის #475 დადგენილებით კომპანიას მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი 2040წ 01 ოქტომბრამდე, რაც საშუალებას აძლევს მას, მიიღოს გარანტირებული სიმძლავრის ტარიფით გათვალისწინებული შემოსავლები. სემეკ-ის

(საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) 2015 წლის 7 სექტემბრის #49/1 გადაწყვეტილებით კომპანიამ მიიღო ელექტროენერგიის წარმოების უვადო ლიცენზია, რომელიც წარმოადგენს გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფით ცვლადი ხარჯების (ძირითადად ბუნებრივი აირი, ასევე ქიმიკატები და წყალი) ანაზღაურების საშუალებას.

კომპანიის საქმიანობის სფერო რეგულირებადია, რაც სემეკ-ის მიერ ყოველწლიურად ორი - გარანტირებული სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეშვეობით ხორციელდება. რეგულირება გამოიხატება სემეკ-ის მიერ ღირებულების ანაზღაურებას დაქვემდებარებული აქტივების განსაზღვრასა და მათზე ამონაგების - კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი მნიშვნელობის (WACC) დადგენაში.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის მიზანია, უზრუნველყოს სადგურის მზადყოფნა წელიწადში 300 დღის განმავლობაში და ელექტროენერგიის შეუფერხებელი გამომუშავება ქვეყნის ელექტროსისტემის მოთხოვნისამებრ, ხოლო დარჩენილი 65 დღე კაპიტალური და სარეზერვო რემონტებისთვისაა განკუთვნილი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ა) გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება ქვეყნის ელექტროსისტემისათვის და ბ) ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა.

აღსანიშნავია კომპანიის წარმატებული გამოცდილება კაპიტალურ რემონტებთან დაკავშირებით, რომლებიც მაისი-ივნისის პერიოდში სხვადასხვა ხანგრძლივობითა და ინტენსივობით ტარდება. ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის საიმედოობის შენარჩუნების და საწარმოს მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების დაგეგმვის მიზნით ასეთი რემონტების ჩატარების პერიოდი და ხანგრძლივობა წინასწარ თანხმდება ქვეყნის ელექტროსისტემასთან. რემონტების ჩატარებისას კომპანია შეისწავლის მისი ძირითადი აგრეგატების ექსპლუატაციის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში აღმოფხვრის ხარვეზებს. კაპიტალური რემონტი უზრუნველყოფს კომპანიის სათანადო მზადყოფნას და მისი ეფექტური მუშაობის გარანტიას.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ქვეყნის ენერგოსისტემაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად კომპანია უწყვეტ რეჟიმში იღებს და გასცემს ინფორმაციას გამომუშავებული ან მიღებული ელექტროენერგიისა და მიღებული ბუნებრივი აირის მოცულობის შესახებ.

კომპანია მუდმივად ვითარდება. ამჟამად მისი პარტნიორის, General Electric-ის კვლევის უკანასკნელ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომპანია ახორციელებს გაზის ტურბინების ძირითადი ნაწილების - ფრთების განახლებას. GE-ის წარმოების ელექტროსადგურში დამონტაჟებულ გაზის ტურბინებს საოპერაციო და სარემონტო სახელმძღვანელოების მიხედვით 24,000 საათის მუშაობის შემდგომ ესაჭიროება რემონტი (Hot Gas Path Inspection). ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ GE-ის წარმოების გაზის ტურბინებმა განიცადა ტექნოლოგიური გაუმჯობესება, რის შედეგადაც ტურბინის მუშაობის ხანგრძლივობა 50%-ით გაიზარდა. კერძოდ, გაუმჯობესებულ ტურბინებს სარემონტო სამუშაოები ნაცვლად ყოველი 24,000 ნამუშევარი საათისა, ჩაუტარდება ყოველ 32,000 საათის მუშაობის შემდგომ. შესაბამისად, აღნიშნული გაუმჯობესება საგრძნობლად გაზრდის სარემონტო ინტერვალს და შეამცირებს ოპერირებისა და რემონტის ხარჯებს.

GE-თან ჩატარებული კონსულტაციების მიხედვით გაზის ტურბინების მოდიფიკაცია მისაღებია როგორც ტექნოლოგიური, ასევე ოპერირების და რემონტის ხარჯების მინიმიზაციის მხრივ. კომპანია შეისყიდის გაუმჯობესებული ტიპის სათადარიგო ნაწილებს 32,000 საათიანი მუშაობის რესურსით. აღსანიშნავია რომ ახალი, გაუმჯობესებული ტიპის სათადარიგო ნაწილების შესყიდვის პარალელურად ასევე განხორციელდება კომპანიის მარაგში უკვე არსებული სათადარიგო ნაწილების შეცვლა მოდიფიცირებული, 32,000-საათიან მუშაობის რესურსის მქონე ფრთებით.

საინტერესოა კომპანიაში დანერგილი გაზის ტურბინების რემონტების ჩატარების თანამედროვე ტექნოლოგია, ე.წ. ბოროსკოპირება, რომელსაც GE სპეციალისტები ყოველწლიურად ატარებენ.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება სემეკ-ის მიერ ორსაფეხურიანი - გარანტირებული სიმძლავრის და გაყიდული ელექტროენერგიის - ტარიფების მეშვეობით. გაყიდული ელექტროენერგიის ტარიფი ანაზღაურებს წარმოების ყველა ცვლად საოპერაციო ხარჯს, მოგების გარეშე. გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი კი ანაზღაურებს რაბ-ს (რეგულირებადი აქტივების ბაზა) გამრავლებული კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილ მნიშვნელობაზე (WACC), დამატებული ცვეთა და ფიქსირებული საოპერაციო ხარჯები (თანამშრომელთა ანაზღაურება, რემონტები და სხვა).

ქვემოთ მოცემულია ტარიფების ინფორმაცია 2015-18 წლებისათვის:

	გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი (ლარი/დღე)	ელ-ენერგიის წარმოების ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ)
2015-16	366,143	6.659
9 თვე, 2017	343,884	9.056
10-12 თვე, 2017		8.056
2018	385,893	8.012

2018 წელს გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი გაიზარდა WACC-ის სიდიდის შესახებ რეგიონისა და ევროპის სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინების შედეგად WACC-ის 13.54%-დან 16.4%-მდე ზრდის გამო.

კომპანიის სტრუქტურაში არის შემდეგი მიმართულებები:

- ტექნიკური, საინჟინრო და სამშენებლო
- ფინანსები და ბუღალტერია, კომერციული დეპარტამენტი
- შესყიდვები და ლოჯისტიკა
- იურიდიული .

კომპანიის განვითარების ტემპიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით შესაძლებელია შეიქმნას ახალი სტრუქტურული ერთეული ან შეიცვალოს არსებული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა რაოდენობა. შესაბამისი ცვლილებები მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და წარედგინება პარტნიორთა კრებას საბოლოო დასტურისათვის.

კომპანია ზრუნავს თანამშრომლების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, რის მისაღწევადც საკუთარი სახსრებით დაზღვეული ჰყავს ყველა თანამშრომელი და დროდადრო ატარებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს. სსიპ-მა ”საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი” კომპანიის ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური პერსონალისთვის უსაფრთხოების ტექნიკის, ტექნიკური ექსპლუატაციის, სახანძრო უსაფრთხოების და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესების მოთხოვნების მიხედვით II, III, IV და V საკვალიფიკაციო ჯგუფების მინიჭების და სპეციალური სამუშაოების ჩატარების უფლების მინიჭების მიზნით ჩაატარა ტრენინგები, საკვალიფიკაციო გამოცდები/ტესტირებები და გასცა სერტიფიკატები/მოწმობები კომპანიის თანამშრომლებზე.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიამ 2016 წლიდან დაიწყო 142 მლნ აშშ დოლარის სესხის ახალი, დაჩქარებული გრაფიკით გადახდა. ქვემოთ მოტანილია სესხის ძველი და ახალი გრაფიკები, მის სრულ დაფარვამდე:

წელი	გადახდა, ძველი გეგმა მლნ აშშ დოლარი	გადახდა, ახალი გეგმა (ან ფაქტი) მლნ აშშ დოლარი
2016	0	20.1
2017	34.2	34.2
2018	32.5	28
2019+	200 (2026წ)	135.1 (2023წ)
ჯამი	266.7	217.4

კომპანის საქმიანობის ეკონომიკურ შედეგზე დიდ გავლენას ახდენს აშშ დოლარში დენომინირებული სესხის გადაფასება. შედარებისათვის იხ. ქვემოთ 2016-17 წლების საქმიანობის წმინდა შედეგი და გადაფასებით მიღებული ზარალი/შემოსავალი:

წელი	გადაფასებით მიღებული მოგება/(ზარალი), მლნ ლარი	საქმიანობის მოგება/(ზარალი), მლნ ლარი
2016	(39.1)	(7.9)
2017	10	57.8

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საქმიანობას აწარმოებს საქართველოში. იგი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდებიან განვითარებადი ბაზრის თვისებებით. 2019 წლის კომპანიის ძირითად კომერციულ და საფინანსო რისკებს წარმოადგენს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში და შესაბამისად „ელექტროენერგეტიკული ბაზრის წესებში“ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2018 წლის მეორე ნახევარში და ამოქმედდეს 2019 წლიდან. აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და შესაბამისად ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ერთ-

ერთ ვალდებულებას. ამ ცვლილებების მიხედვით საქართველოს ელექტროენერგეტიკულ და გაზის სექტორში უნდა მოხდეს ბაზრის სრული ლიბერალიზაცია.

დღეისათვის გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი (100-110 მლნ ლარი/წ) კომპანიისათვის წარმოადგენს მოგების მიღების ძირითად წყაროს. ახალი კანონმდებლობის მიხედვით შესაძლოა გაუქმდეს „ელექტროენერგეტიკული სიმძლავრის გარანტირებულ წყაროს“ მზადყოფნის საფასურის გადასახადი. შესაბამისად გარდამავალ პერიოდში კომპანიის შემოსავლების წყარო სავარაუდოდ შეიცვლება, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია, გაიზრდება თუ შემცირდება შემოსავალი. აუცილებელი გახდება კაპიტალური დანახარჯების ტარიფში სხვაგვარად ასახვა. ბაზრის ახალი მოდელის (საკანონმდებლო პროექტის) მიხედვით, ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ვაჭრობა იწარმოებს „საათობრივი“, „დღიური“, „წინა დღის“, „ერთი საათით ადრე“ და ა. შ. ტარიფებით.

საინვესტიციო კომპანია GALT&TAGGART-ის ანგარიში „საქართველოს ენერგეტიკის სექტორი | მარტი 2018“ ცხადყოფს ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდას ბოლო 5 წლის განმავლობაში (იხ. ბმული ქვემოთ):

<http://galtandtaggart.com/research/research-reports/all/2018-all/1/>

კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას. 2016-17 წლებში კომპანიის მიერ განხორციელებული შესყიდვების ზოგადი სტატისტიკა ასეთია:

წელი	გამოცხადებული ტენდერების რ-ბა	ღირებულება, მლნ ლარი	დადებული ხელშ-ბების რ-ბა	ღირ-ბა, მლნ ლარი	ხელშ-ბა ტენდერის გარეშე, რ-ბა	ღირ-ბა, მლნ ლარი
2016	93	48.4	64	32.9*	211	6
2017	131	5.4	79	4.1	163	1.5

* მოიცავს 2016წ ნოემბერში თურქულ „ჩალიკთან“ გაფორმებულ მომსახურება-ექსპლუატაციის 25.3 მლნ ლარის 5-წლიან ხელშ-ბას

სსიპ „აუდიტის სახელმწიფო ინსტიტუტის“ რეკომენდაციის საფუძველზე კომპანიამ მოითხოვა და 2018წ 16 თებერვლიდან უფლება მიიღო, შესყიდვები განახორციელოს სპეციალური წესის მეშვეობით, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას, ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვროს მოსაწოდებელი მოწყობილობის მწარმოებელი.

გენერალური დირექტორი, ლაშა მგელაძე:

თარიღი: 6 ივლისი, 2018 წ.

ერთ ვალდებულებას. ამ ცვლილებების მიხედვით საქართველოს ელექტროენერგეტიკულ და გაზის სექტორში უნდა მოხდეს ბაზრის სრული ლიბერალიზაცია.

დღეისათვის გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი (100-110 მლნ ლარი/წ) კომპანიისათვის წარმოადგენს მოგების მიღების ძირითად წყაროს. ახალი კანონმდებლობის მიხედვით შესაძლოა გაუქმდეს „ელექტროენერგეტიკული სიმძლავრის გარანტირებულ წყაროს“ მზადყოფნის საფასურის გადასახადი. შესაბამისად გარდამავალ პერიოდში კომპანიის შემოსავლების წყარო სავარაუდოდ შეიცვლება, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია, გაიზრდება თუ შემცირდება შემოსავალი. აუცილებელი გახდება კაპიტალური დანახარჯების ტარიფში სხვაგვარად ასახვა. ბაზრის ახალი მოდელის (საკანონმდებლო პროექტის) მიხედვით, ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ვაჭრობა იწარმოებს „საათობრივი“, „დღიური“, „წინა დღის“, „ერთი საათით ადრე“ და ა. შ. ტარიფებით.

საინვესტიციო კომპანია GALT&TAGGART-ის ანგარიში „საქართველოს ენერგეტიკის სექტორი | მარტი 2018“ ცხადყოფს ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდას ბოლო 5 წლის განმავლობაში (იხ. ბმული ქვემოთ):

<http://galtandtaggart.com/research/research-reports/all/2018-all/1/>

კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას. 2016-17 წლებში კომპანიის მიერ განხორციელებული შესყიდვების ზოგადი სტატისტიკა ასეთია:

წელი	გამოცხადებული ტენდერების რ-ბა	ღირებულება, მლნ ლარი	დადებული ხელშ-ბების რ-ბა	ღირ-ბა, მლნ ლარი	ხელშ-ბა ტენდერის გარეშე, რ-ბა	ღირ-ბა, მლნ ლარი
2016	93	48.4	64	32.9*	211	6
2017	131	5.4	79	4.1	163	1.5

* მოიცავს 2016 წლის ნოემბერში თურქულ „ჩალიკიან“ გაფორმებულ მომსახურება-ექსპლუატაციის 25.3 მლნ ლარის 5-წლიან ხელშ-ბას

სსიპ „აუდიტის სახელმწიფო ინსტიტუტის“ რეკომენდაციის საფუძველზე კომპანიამ მოითხოვა და 2018 წლის 16 თებერვლიდან უფლება მიიღო, შესყიდვები განახორციელოს სპეციალური წესის მეშვეობით, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას, ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვროს მოსაწოდებელი მოწყობილობის მწარმოებელი.

გენერალური დირექტორი, ლაშა მგელაძე:



თარიღი: 6 ივლისი, 2018 წ.